

# წაკითხულის გააზრება

სამუშაოდ გეძლევათ 1 სთ. და 10 წთ.

მოცემულია სამი ტექსტი A, B და C. თითოეულს ერთვის შეკითხვები სავარაუდო პასუხებით. გაიაზრეთ ტექსტი და თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია ტექსტის მიხედვით.

## ტექსტი A

I მოვლენების მართალი და სანდო მიმოხილვის მცდელობას, რაც იმთავითვე ჟურნალისტიკის უმთავრესი დანიშნულება იყო, დღეს კ. წ. მტკიცებების ჟურნალისტიკა ენაცვლება. რეპორტაჟს იაფფასიანი, პოლარიზებული არგუმენტები შთანთქავს. ჟურნალისტები, უმეტესწილად, იმ წყაროების ტყვეობაში ექცევიან, რომელთა შესახებაც წერენ. თანამედროვე 24-ხათიანი ახალი ამბების მედიაკულტურაში ახალი ამბები უფრო და უფრო ფრაგმენტული ხდება. მედია საზოგადოების ინტერესების დამცველის როლს ვერ ასრულებს.

II ჟურნალისტი უნდა ცდილობდეს, ნამდვილი ინფორმაცია გამიჯნოს ნებისმიერი დეზინფორმაციის, მცდარი ინფორმაციისა და თვითრეკლამირებისაგან და შემდეგ საზოგადოებას რეაგირებისა და სიმართლის გარკვევის საშუალება მისცეს. ფილოსოფოსების აზრით, სიმართლე ორი რამით მოწმდება: ერთია ფაქტების შესაბამისობა, მეორე – თანამიმდევრულობა. თანამიმდევრულობა ჟურნალისტური სიმართლის საბოლოო გამოცდა უნდა იყოს. საზოგადოებას ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი კი არა, მთლიანი სურათი სჭირდება.

III ჟურნალისტური სიმართლე უფრო მეტია, ვიდრე სიზუსტე. განა საქმარისია, ჟურნალისტი მხოლოდ სიზუსტეს ჩაებდაუჭოს და სახელები და თარიღები სწორად მოიხსენიოს?! მშრალი სიზუსტე, შეიძლება, თავისთავად იყოს მომხდარი ფაქტის გარკვეული დამახინჯება; გვულისხმობთ ისეთ ინფორმაციას, რომელიც ფაქტობრივად სწორია, მაგრამ არსებითად – უადგილო. ამის მაგალითად ჟურნალისტიკაში ასახელებენ ისეთ მასალებს, სადაც უმცირესობებსა თუ ეთნიკურ კუთვნილებაზე უაზრო ხაზგასმა ყალბი სტერეოტიპების შექმნას იწვევს.

IV ზემოთქმული როდი ნიშნავს იმას, რომ სიზუსტეს უურადღება არ უნდა მივაქციოთ. სიზუსტეს, ალბათ, ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის გადმოცემის პირველ სათებში. სწორედ ამ დროს ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი იმ კონტექსტის მიხედვით, რომელშიც ინფორმაციაა წარმოდგენილი. გამოცდილი ჟურნალისტი, პოდინგ კარტერი აღნიშნავს, რომ ეს დროის ის მონაკვეთია, როდესაც ხელისუფლებას შეუძლია, საზოგადოებრივ აზრზე უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინოს – „სამი დღე რომ მისცე, ხელისუფლება უპრობლემოდ შეიმუშავებს რაიმე მოვლენისათვის კონტექსტს და შეძლებს ამ მოვლენისადმი საზოგადოების დამოკიდებულების გაკონტროლებას.“

V ჟურნალისტური სიმართლე რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენია. თავდაპირველი ინფორმაციის მოწოდებისას ჟურნალისტი შეიძლება ვერ გასცდეს სიზუსტის ზედაპირულ დონეს. მაგრამ შემდგომში თავდაპირველ ინფორმაციაზე აიგება მეორე, სადაც გასწორდება პირველში დაშვებული შეცდომები და შეივსება ხარვეზები. მეორეს მოჰყვება მესამე და ასე კონტექსტი გადადის ყოველ მომდევნო შრეზე. ამ გზით წარმოჩენილი სიმართლე მრავალწახნაგოვანია და, ისევე

როგორც ცოდნა, დროთა განმავლობაში, სტალაგმიტის მსგავსად, წვეთ-წვეთად იზრდება.

**VI** დღეს სიმართლის მოთხოვნილება განსაკუთრებით ძლიერია, რადგან ცრუ ინფორმაციის გავრცელების ალბათობამ საგრძნობლად იმატა. საზოგადოება სამართლიანად ითხოვს პასუხებს კითხვაზე: „რას დავუჯეროთ?“ მოქალაქეები მონაცემთა უზარმაზარ ნაკადს ეჯახებიან და უნდებათ ისეთი საინფორმაციო წყაროების არსებობის მოთხოვნილება, რომლებიც ინფორმაციის შემოწმებასა და გაფილტვრაში, მნიშვნელოვანი საკითხის გამოყოფაში დაეხმარება.

**VII** ზოგიერთმა უურნალისტმა „სიმართლის შემცვლელები“ შემოგვთავაზა, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია სამართლიანობა და ბალანსი. სამართლიანობა საკმაოდ აპსტრაქტული ცნებაა, და, რაც მთავარია, ბევრად უფრო სუბიექტური, ვიდრე სიმართლე. ვის მიმართ ხარ სამართლიანი? როგორ ამოწმებ სამართლიანობას? სიმართლე, ყველა სირთულის მიუხედავად, შემოწმებადი მაინცაა. ასევე, ძალიან სუბიექტურია ბალანსიც. მხარეთა შესახებ დაბალანსებული ინფორმაციის მოწოდება შეიძლება სულაც არ იყოს სამართლიანი თავად სიმართლის მიმართ, თუ მხარეებს მართლაც თანაბარი წონა არ გააჩნიათ. მაგალითისთვის გავიხსენოთ გლობალური დათბობის უკვე აღიარებული ფაქტი. მეცნიერთა დიდი ნაწილი ამტკიცებდა, რომ გლობალური დათბობა რეალობაა, ნაწილი კი ამას უარყოფდა. პრესა კი ცდილობდა, ორივე თვალსაზრისისთვის თანაბარი წონა მიენიჭებინა.

**VIII** ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ ახალმა მედიამ უფრო მეტი კონტექსტი და ინტერპრეტაცია უნდა შეჰმატოს ახალ ამბებს, რაც აუდიტორიას დიდძალი ინფორმაციის გადარჩევაში დაეხმარება. ვფიქრობ, ესეც მიუღებელია, თუნდაც ერთი მიზეზით: მნელია, წარმოვიდგინოთ მკითხველი თუ მსმენელი, რომელიც ასწორებს და გადაარჩევს ჩახლართულ, გაუფილტრავ ინფორმაციას. ჭარბი ინტერპრეტაცია მხოლოდ დაბნეულობას თუ გამოიწვევს. ინტერპრეტაცია გადარჩევის პროცესის ნაწილად უნდა იქცეს მას შემდეგ, რაც ფაქტები დადგინდება. შეცდომაა ინტერპრეტირების დაწყება, ვიდრე არ დაზუსტდება ის, რაც რეალურად მოხდა. მედია უნდა გათავისუფლდეს ჭორების, ცილისწამებების, უმნიშვნელო დეტალებისა და შეთხზული ისტორიებისაგან და უურადღება მიაპყროს იმას, რაც მართალი და მნიშვნელოვანია. ინფორმაციის შემოწმება და გადარჩევა უურნალისტის, როგორც საზოგადოების დამცველის, ახალი როლის საძირკველია.

**IX** ისტორიკოს გორდონ ვუდს თუ დავეხსესხებით, „შესაძლოა, ისტორიკოსებმა ვერასდროს წარმოაჩინონ სიმართლე სრულყოფილად, მაგრამ ზოგი უფრო ახლოს მივა სიმართლესთან, ვიდრე სხვა, უფრო სრულად, უფრო ობიექტურად და პატიოსნად დაწერს ისტორიას და ჩვენ ამას მივხვდებით.“ ფაქტობრივად, ამასვე ამბობენ ისინიც, ვისაც საზოგადოებრივ სფეროში უმუშავია: ისეთი ახალი ამბების მოპოვებას, რომელიც სიმართლის სრულ გერსიას უახლოვდება, რეალური შედეგი მოაქვს.

## **1. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?**

- (ა) წარმოაჩინოს სიზუსტის დიდი მნიშვნელობა ჟურნალისტის მიერ მოვლენათა წარმოდგენის საწყის ფაზაში.
- (ბ) ხაზი გაუსვას ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი აზრის კონტროლის შესაძლებლობას.
- (გ) გამოკვეთოს ჟურნალისტის, როგორც საზოგადოების ინტერესების დამცველის როლი.
- (დ) კრიტიკულად შეაფასოს მედიაკულტურაში ახალი ამბების ფრაგმენტულობის ტენდენცია.
- (ე) განიხილოს ჟურნალისტის მიერ ახალი ამბების ინტერპრეტირების საკითხი.

## **2. ტექსტიდან გამომდინარე, რას მოითხოვს ავტორი ჟურნალისტისაგან?**

- (ა) ინფორმაციის დაბალანსებას
- (ბ) თანამიმდევრულობას
- (გ) ინფორმაციის ინტერპრეტირებას
- (დ) მასალის მრავალფეროვნებას
- (ე) სამართლიანობას

## **3. ჩამოთვლილთაგან რომელ თვალსაზრისს იზიარებს ავტორი?**

- (ა) ჟურნალისტი ყოველთვის სიზუსტეს უნდა ჩაეჭიდოს და უმნიშვნელო დეტალებიც კი გადმოსცეს.
- (ბ) ჟურნალიტის მიერ ახალი ამბების თავიდანვე ინტერპრეტირება სწორი და სამართლიანი პოზიციაა.
- (გ) ჟურნალისტი მხარეთა მიმართ ბალანსის შენარჩუნებით სიმართლის ყველაზე ფაქტი დონეს იცავს.
- (დ) მკითხველს თუ მსმენელს საშუალება უნდა ჰქონდეს, თავად გადაარჩიოს ინფორმაციის დიდი ნაკადი.
- (ე) ჟურნალისტური სიმართლე, სიზუსტის დაცვის შესაძლებლობისაგან განსხვავებით, დროთა განმავლობაში იკვეთება.

#### **4. აგტორი განიხილავს გლობალური დათბობის მაგალითს, რათა**

- (ა) დაადასტუროს, რომ საზოგადოებას შეუძლია ობიექტურად შეაფასოს, ვინ უფრო ახლოს მივიდა სიმართლესთან.
- (ბ) წარმოაჩინოს, რომ სამართლიანობა საკმაოდ სუბიექტური და, ამასთანავე, აბსტრაქტული ცნებაა.
- (გ) გაგვაცნოს ურნალისტური სიმართლის წინააღმდეგობრივი ხასიათი.
- (დ) კრიტიკულად შეაფასოს ურნალისტიკაში ინფორმაციის დაბალანსების საკითხი.
- (ე) გამოკვეთოს ურნალისტიკაში თანამიმდევრულობის აუცილებლობა.

#### **5. თეზის – სიმართლის სრულად წარმოჩენა რთულია, თუმცა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, – აგტორი ადასტურებს**

- (ა) სიმართლის შესახებ ფილოსოფოსების ნააზრევის დამოწმებით.
- (ბ) იმ მასალის კომენტარით, რომელიც უმცირესობათა თემას ეხება.
- (გ) გამოცდილი ურნალისტის, პოდინგ კარტერის მოსაზრების გაცნობით.
- (დ) ურნალისტიკაში სამართლიანობის საკითხის წინ წამოწევით.
- (ე) ისტორიკოს გორდონ ვუდის მოსაზრებასთან პარალელის გავლებით.

#### **6. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მართებული ტექსტის მიხედვით?**

- (ა) პოლარიზებული არგუმენტების გამოყენება თანამედროვე მედიაკულტურის ერთ-ერთი ხარვეზია.
- (ბ) ურნალისტი ამბის ობიექტურად დაბალანსებას ვერ შეძლებს, თუ მხარეებს თანაბარი წონა არ გააჩნიათ.
- (გ) ფაქტების შესაბამისობაზე დაკვირვებით, საზოგადოებას ურნალისტური სიმართლის შემოწმება შეუძლია.
- (დ) საზოგადოების ინტერესების დასაცავად მედიამ ახალ ამბებს მეტი კონტექსტი და ინტერპრეტაცია უნდა შევმატოს.
- (ე) დღეს აუდიტორია ურნალისტისაგან მოითხოვს საინფორმაციო ნაკადის გაფილტვრას და მნიშვნელოვანი საკითხის გამოყოფას.

#### **7. ჩამოთვლილთაგან შველაზე მეტად რომელი შეეფერება ტექსტს სათაურად?**

- (ა) სამართლიანობისა და ბალანსის ცნებები ურნალისტიკაში
- (ბ) ტრადიციული და თანამედროვე ურნალისტიკა
- (გ) სიმართლე თანამედროვე ურნალისტიკაში
- (დ) ფაქტი და სიზუსტე ურნალისტიკაში
- (ე) ექსკურსი მედიაკულტურის ისტორიაში

## ტექსტი B

- I      მითოლოგიური გმირების მოქმედება და შეხედულებები, მათი საგმირო საქმეები ელინთა ეთიკური ნორმების საფუძველს წარმოადგენდა. ძველი ბერძენი პოეტები მასალისთვის მითოსს მიმართავდნენ. ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს შემოქმედების წყაროც ბერძნული მითოსი იყო. აქ თავს იჩენდა მათი მიზანიც, მისწრაფებაც და მსოფლმხედველობაც. ეს სამი დიდი მწერალი ბევრ რამეში ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ განსხვავება მათ შორის უთუოდ მეტია.
- II     ესქილესათვის გრანდიოზულობისაკენ ლტოლვაა დამახასიათებელი. მისი გმირები გოლიათებად და ბუმბერაზებად წარმოგვიღებიან. ისინი ღმერთებს ჩამოჰვანან, მათსავით დიდებულნი არიან; ნებისყოფითა და ზნეობით შემკულნი მაღალი მიზნებისთვის იბრძვიან და კაცობრიობის ბედზე ზრუნავენ. სოფოკლემ კი თავისი გმირები დედამიწაზე ჩამოიყვანა და ყურადღება მათ სულიერ სამყაროზე გადაიტანა. ეს გმირები თითქოს ჩვეულებრივი ადამიანები არიან, თუმცა, არც ისეთი, ათენის ქუჩებში ყოველდღიურად რომ ხვდებოდნენ სოფოკლეს, მაგრამ არც იმაზე მეტი, როგორიც მაღალზნეობრივი და კეთილშობილი მოქალაქე უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ევრიპიდეს გმირები მოგვევლინენ რეალისტურ პერსონაჟებად – ისეთებად, ევრიპიდეს თანამედროვენი რომ იყვნენ. არისტოტელეს აზრით, სოფოკლე ასახავს ადამიანებს ისეთებად, როგორებიც ისინი უნდა იყვნენ, ევრიპიდე კი – როგორებიც ისინი არიან. სოფოკლე ესქილეს უმცროსი თანამედროვე იყო, ევრიპიდე კი – სოფოკლესი. მაში, რამ გამოიწვია ესოდენ შესამჩნევი ცვლილებები?
- III    ესქილეს მსოფლმხედველობა ბერძენ-სპარსელთა ომების დროს ყალიბდებოდა. მის ფანტაზიასაც ეს საბედისწერო პერიოდი ასაზრდოებდა. იგი ყოველთვის დიადი მოვლენების შუაგულში ტრიალებდა და კარგად ხედავდა, რომ ქვეყნის გადასარჩენად გმირები, იქნებ, ტიტანებიც კი იყო საჭირო; ასეთებს ირგვლივ ვერ პოულობდა და მათი ძებნა მითებში, ლეგენდარულ ისტორიებში დაიწყო. სოფოკლე ესქილეზე 30 წლით უმცროსი იყო, მაგრამ ეს 30 წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ საბერძნეთში ვითარება შეცვლილიყო. ქვეყანას ტიტანები აღარ სჭირდებოდა და პერიოქული სულისკვეთებაც ერთგვარად განელდა; სპარსელების განდევნის შემდეგ ათენში მყუდროებამ დაისადგურა. გმირული საქმენი მოგონებად იქცა.
- IV    ევრიპიდესდროინდელი ათენისათვის კი დაუცხრომელი ძიება და მეცნიერული აღმავლობა იყო ნიშანდობლივი. ადამიანის ძალისა და შესაძლებლობების აღიარება, რაც ცხადად იჩენდა თავს მაშინდელ ათენში, ღმერთების როლის შესუსტებასა და იმ აზრის დაფუძნებას მოასწავებდა, რომ პიროვნებას თავად შეეძლო, გამოეჭედა საკუთარი ცხოვრების ბედი. ამავე პერიოდში აყვავდა სოფისტური რიტორიკაც. თუმცა, ისიც უმჭველია, რომ ევრიპიდე მაინც ხარკს იხდიდა ტრადიციების წინაშე – მითები და ლეგენდები ასაზრდოებდა მის შემოქმედებას, მითოსი აწვდიდა მასაც სიუჟეტებსა და გმირებს. აშკარაა, რომ მითოსური თემატიკა ევრიპიდეს თავისი წინამორბედების მსგავსი მიზნებით აღარ იზიდავდა; თუმცა ისიც იყენებდა მითოსურ სიუჟეტებს, რადგან წმინდა ყოფილი ან ფილოსოფიური ხასიათის ტრაგედიების შექმნა ძვ. წ. V საუკუნეში აზრად არავის მოვაიდოდა. მეორე მხრივ, საკუთრივ მითოსიდან აღებული მასალის მაგალითზე უფრო ეფექტური უნდა ყოფილიყო ტრადიციულ შეხედულებათა კრიტიკა. ევრიპიდეს არაერთი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ცვლილება შეაქვს მითში, ერთგვარად თავის კონცეფციას უქმედებარებს მას.
- V      გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ევრიპიდეს იასონი აღარ არის არგონავტების მითის აღიარებული და ძლევამოსილი წინამდოლი. ჩვენ წინაშე ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევრის ადამიანი დგას, მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე მეოცნებე, თავდაჯერებული პიროვნება, რომელიც, ათენელთა უმრავლესობის

მსგავსად, კარგად ფლობს სოფისტური რიტორიკის ხერხებს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ევრიპიდეს შემოქმედებაში იასონი გამონაკლისი არ გახდავთ.

ევრიპიდეს დამოკიდებულება მითისადმი თავისთავად გამორიცხავდა წინამორბედთა მიბაძვის შესაძლებლობას. ესქილესა და სოფოკლესაგან განსხვავებით, ევრიპიდე შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ტრაგედიის ჰარმონიულ მთლიანობას, მაგრამ მეტი ყურადღებით ეკიდებოდა მისი ცალკეული ნაწილის დამუშავებას. ასევე, იგი გაბედულად ცვლიდა, ავსებდა და ახლებურად ამუშავებდა მითის ტრადიციულ ვერსიებს. სოფისტების ნააზრევმა ევრიპიდეს შეხედულებების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა: მან უყოფმანოდ გაიზიარა დებულება, რომ ყველაფრის საზომი ადამიანია. ევრიპიდე ცდილობდა, კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდომოდა გმირის სულიერ სამყაროს. პიროვნებისადმი მისმა ასეთმა ინტერესმა კი ძველბერძნულ ტრაგედიაში მსახიობის როლი საგრძნობლად გაზარდა.

## 8. ავტორის მთავარი მიზანია:

- (ა) დაასაბუთოს, რომ ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს შემოქმედების წყარო ბერძნული მითოსი იყო.
- (ბ) დაადასტუროს, რომ სოფისტების ნააზრევმა ევრიპიდეს შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია.
- (გ) გამოვლინოს, რომ ბერძნული ტრაგედიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მსახიობის როლიც სხვადასხვაგარი იყო.
- (დ) წარმოაჩინოს, რომ ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს დამოკიდებულება მითოსის მიმართ ერთმანეთისაგან აშკარად განსხვავებული იყო.
- (ე) დაგვანახოს, რომ ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს შემოქმედება ბერძნებარსელთა ომების ეპოქის ამსახველია.

## 9. რომელი მოსაზრება გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ევრიპიდემ უარი თქვა წინამორბედთა ტრადიციაზე და წმინდა ფილოსოფიური ხასიათის ტრაგედიები შექმნა.
- (ბ) ესქილეს დვთაებრივი გმირი სოფოკლემ იდეალური პიროვნებით შეცვალა.
- (გ) არისტოტელემ, ესქილესთან შედარებით, უპირატესობა სოფოკლეს მიანიჭა.
- (დ) სოფოკლეს მიერ განხორციელებულმა ცვლილებებმა საგრძნობლად გაზარდა ტრაგედიაში მსახიობის როლი.
- (ე) ბერძენ-სპარსელთა ომების პერიოდი ზეგავლენა მოახდინა ევრიპიდეს შემოქმედებაზე და მისი სულისკვეთებაც განსაზღვრა.

**10. ამ სამი ავტორის შემოქმედებაზე დაკვირვებით შეიძლება გიფიქროთ, რომ ძველბერძნულ ტრაგედიაში**

- (ა) ყველა ეტაპზე გამოიყენებოდა სოფისტური რიტორიკა, როგორც კამათის ტრადიციული ხერხი.
- (ბ) თავიდანვე შესუსტებული იყო მოვლენათა განვითარებაში ღმერთების აქტიური როლის წარმოჩენა.
- (გ) თანდათან ღრმავდებოდა ინტერესი გმირის შინაგანი სამყაროს, მისი ფსიქოლოგის მიმართ.
- (დ) ავტორთა მსოფლმხედველობის ცვლილების შედეგად წმინდა ყოფითი ხასიათის თემატიკა დამკვიდრდა.
- (ე) გმირის ეთიკური ნორმები ყველა ეტაპზე ერთგვაროვანი იყო.

**11. რა მიმართებაა ტექსტის IV და V აბზაცებს შორის?**

- (ა) IV აბზაცში გამოთქმული მოსაზრებები შეჯამებულია V აბზაცში.
- (ბ) V აბზაცში კრიტიკულად განხილულია IV აბზაცში გამოთქმული ვარაუდი.
- (გ) IV აბზაცში გამოთქმული მოსაზრება მაგალითით დადასტურებულია V აბზაცში.
- (დ) V აბზაცში შეფასებულია IV აბზაცში წარმოდგენილი კონკრეტული მაგალითები.
- (ე) IV და V აბზაცებში წარმოდგენილია ერთმანეთის საპირისპირო თვალსაზრისები.

**12. ჩამოთვლილთაგან რომელი არ დასტურდება ტექსტში?**

- (ა) ევრიპიდეს შემოქმედებაში გმირები რეალისტურ პერსონაჟებად მოგვევლინნენ, ისეთებად, როგორიც ავტორის თანამედროვე ათენელები იყვნენ.
- (ბ) მითოსიდან აღებული მასალის მაგალითზე ტრადიციულ შეხედულებათა კრიტიკა სოფისტური რიტორიკის აყვავების თანადროული პროცესი იყო.
- (გ) ძველბერძნულმა ტრაგედიამ დროის არცთუ ისე დიდ მონაკვეთში შესამჩნევი ცვლილება განიცადა.
- (დ) ევრიპიდესდროინდელი ათენისათვის ნიშანდობლივი იყო დაუცხრომელი ძიება და მეცნიერული აღმავლობა.
- (ე) ესქილესაგან განსხვავებით, სოფოკლე უფრო ხშირად იყენებდა წყაროდ მითოსურ მასალას.

### 13. ევრიპიდეს შემოქმედების შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია მართებული?

- (ა) ესქილესა და სოფოკლეს მსგავსად, ევრიპიდეც მეტი ყურადღებით ეკიდებოდა მითის ცალკეული ნაწილის დამუშავებას, ვიდრე მის უცვლელად შენარჩუნებას.
- (ბ) წინამორბედი ტრაგიკოსების დებულება, რომ გმირს თავად შეეძლო, გამოეჭედა საკუთარი ბედი, ევრიპიდემაც უყოფმანოდ გაიზიარა.
- (გ) ევრიპიდეს მიერ მითებში ცვლილებების შეტანამ ძველბერძნულ ტრაგედიაში ჰარმონიული მთლიანობის პრინციპის დარღვევა განაპირობა.
- (დ) მიუხედავად იმისა, რომ ევრიპიდე, წინამორბედთა მსგავსად, წყაროდ მითებს იყენებს, თავისებური მიღგომის გამო, მისი შემოქმედება ორიგინალურია.
- (ე) ევრიპიდემ, წინამორბედებისაგან განსხვავებით, უარი თქვა ტრაგედიაში მითოლოგიური გმირების წარმოდგენაზე.

## ტექსტი C

I წინა აზიაში ადამიანმა შესაქონლეობასა და მცენარეების კულტივირებას პირველად 9-10 ათასი წლის წინ მიჰყო სელი, როდესაც დედამიწაზე გამყინვარების ბოლო ტალღა დასრულდა; მან მოიყვანა ხორბალი და ქერი, მოაშინაურა გარეული ცხვარი – მუფლონი და გარეული თხა – ნიამორი, აგრეთვე, ტავროსის გარეული ხარი და გარეული ღორი, შესაძლოა, გარეული იხვი და ბატიც. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ხორბლის კულტურამ 8 ათასი წლის წინ მიაღწია საბერძნეთს, დასავლეთ თურქეთსა და კავკასიას. შემდეგ კი გავრცელდა სამხრეთადმოსავლეთ ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთის დანარჩენ ტერიტორიაზე. შესაძლოა, რომ ხორბლის კულტურასთან ერთად კავკასიაში გავრცელდნენ შინაური ცხოველები და ფრინველები: ცხვარი, თხა, ძროხა, ძაღლი, იხვი და ბატი.

II მიიჩნევენ, რომ ადამიანმა პირველად მგელი მოაშინაურა; მისი სახეცვლილი შთამომავალი ძაღლია. ძაღლის მოშინაურების პერიოდზე მეცნიერთა შორის თანხმობა არ არსებობს. სავარაუდოდ, 50 ათასი წლის წინ, როდესაც ადამიანმა ავსტრალია აითვისა, ძაღლი მას უკვე თან ახლდა. ამ ძაღლის გაველურებული სახეობა დინგოს სახელით არის ცნობილი. ზოგი მიიჩნევს, რომ მგლის მოშინაურების შემდეგ 100 ათას წელზე მეტი გავიდა. ვარაუდობენ იმასაც, რომ აფრიკიდან ევრაზიაში გადმოსულ ადამიანებს უკვე ძაღლი მოჰყვებოდა. სხვა ვერსიის მიხედვით, ძაღლის ყველა თანამედროვე ჯიში იმ მგლის შთამომავალს წარმოადგენს, რომელიც ჩინეთში მოაშინაურეს დაახლოებით 15 ათასი წლის წინ, თუმცა ეს ვერსია მხოლოდ მიტოქონდრიული დნმ-ის კვლევის მონაცემებს ეფუძნება. თანამედროვე კავკასიური ნაგაზის მიტოქონდრიული დნმ ჩინური მგლების (ან ძაღლების) დნმ-თან უფრო ახლოს დგას, ვიდრე კავკასიური ან წინააზიური მგლების დნმ-თან, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ წინა აზიაში მგლის მოშინაურება არ ხდებოდა.

III ბოლო ათწლეულის გენეტიკურმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ცხოველების მოშინაურება წინა აზიისაგან დამოუკიდებლად შორეულ აღმოსავლეთშიც ხდებოდა, კერძოდ, ჩინეთსა და მდინარე ინდის დაბლობში. ისევე როგორც წინა აზიაში, აქაც მოაშინაურეს გარეული ხარი ზებუ, ცხვარი, ღორი და კამეჩი. გარდა ამისა, ინდოჩინეთში მოაშინაურეს გარეული ქათამი, რომელიც ევროპასა და დასავლეთ აზიაში მანამდე არ იყო მოშინაურებული. 3-4 ათასი წლის წინ შინაური ქათამი

განვითარებული სამართლებო და წინა აზიაში. ალბათ, კავკასიაშიც ეს ფრინველი მაშინ გამოჩნდა. დასავლეთისკენ, შესაძლოა, სხვა სახეობებიც ვრცელდებოდა. მაგალითად, აღმოსავლური ხარისა და ძროხის ჯიში ზებუ გავრცელდა დასავლეთისკენ – აზერბაიჯანიდან აფრიკამდე. აფრიკაში ის წინააზიურ ჯიშებს შეერია, სამხრეთ კავკასიაში კი ინდური და წინააზიური ჯიშების საქონელი გამიჯნული დარჩა. მაგალითად, სამხრეთ აზერბაიჯანში ზებუსნაირი საქონელი ჭარბობს, ხოლო დასავლეთ კავკასიაში გავრცელებულ საქონელს ზებუსთან არაფერი აქვს საერთო.

IV დაახლოებით 5-6 ათასი წლის წინ, ყორდანული კულტურის განვითარების პერიოდში, კავკასიისა და შავი ზღვის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთ ევროპის სტეპი ადამიანმა ბრინჯაოს დამუშავება ისტავლა და ცხენი მოაშინაურა. შავიზღვისპირეთის სტეპიდან ცხენი გავრცელდა კავკასიაში, შეუა აზიასა და ცენტრალურ ევროპაში, ხოლო იქიდან ევრაზიის სხვა რეგიონებშიც.

V შეუა საუკუნეებში ჩინეთიდან ევროპაში შემოვიდა აბრეშუმის ჭია. ევროპაში აბრეშუმის კულტურის გავრცელებას უკავშირებენ მონღოლების ზესახელმწიფოს შექმნას, რომელმაც ევრაზიის დიდი ნაწილი დაიკავა.

#### 14. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება დასტურდება ტექსტში?

- (ა) ხმელთაშუაზღვისპირეთში მოშინაურებული გარეული თხა – ნიამორი და ტავროსის გარეული ხარი პირველად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელდნენ.
- (ბ) ქათამი ინდოჩინეთში უფრო ადრე მოაშინაურეს, ვიდრე ის ევროპასა და დასავლეთ აზიაში გამოჩნდა.
- (გ) არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ხორბლის კულტურის მოყვანა პირველად დაიწყეს საბერძნეთში, დასავლეთ თურქეთსა და კავკასიაში.
- (დ) გენეტიკურმა კვლევებმა დაადასტურა აზერბაიჯანსა და დასავლეთ კავკასიაში გავრცელებული საქონლის ნათესაობა.
- (ე) აბრეშუმის ჭია ევროპაში მანამდე გავრცელდა, ვიდრე მონღოლები ევრაზიას დაიპყრობდნენ.

#### 15. ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მოსაზრებაა მცდარი?

- (ა) ადამიანმა მაშინ მოაშინაურა გარეული ცხვარი – მუფლონი, როცა ხორბლისა და ქერის მოყვანა დაიწყო.
- (ბ) სავარაუდოდ, შინაური ცხოველები და ფრინველები კავკასიაში 8 ათასი წლის წინ ხორბლის კულტურასთან ერთად გავრცელდნენ.
- (გ) ადამიანმა ავსტრალია 50 ათასი წლის წინ აითვისა.
- (დ) სავარაუდოა, რომ აფრიკიდან ევრაზიაში ადამიანები ძაღლთან ერთად მოვიდნენ.
- (ე) გარეული ხარი ზებუ წინა აზიიდან ჩინეთში 9-10 ათასი წლის წინ გავრცელდა.

**16. მგლის მოშინაურების შესახებ გამოთქმული რომელი მოსაზრება გვხვდება ტექსტში?**

- (ა) ადამიანმა ველური ძაღლი დინგო ავსტრალიაში ორმოცდაათი ათასი წლის წინ მოაშინაურა.
- (ბ) მიტოქონდრიული დნმ-ის კვლევის საფუძველზე მეცნიერები შეთანხმდნენ, რომ პირველად მგლი ჩინეთში მოაშინაურეს.
- (გ) სავარაუდოა, რომ კავკასიაში კავკასიური ნაგაზის გავრცელება ცხენის მოშინაურებასთან ერთად მოხდა.
- (დ) კავკასიური ნაგაზისა და ჩინური მგლის მიტოქონდრიული დნმ-ის მსგავსების საფუძველზე ვერ დავასკვნით, რომ წინა აზიაში მგლის მოშინაურება არ ხდებოდა.
- (ე) ძაღლის ყველა თანამედროვე ჯიში იმ მგლების შთამომავალია, რომელიც აფრიკიდან ევრაზიაში გადმოსულ ადამიანებს შემოჰყვა.

**17. კავკასიაში გავრცელებული ცხოველების შესახებ გამოთქმული რომელი მოსაზრება დასტურდება ტექსტში?**

- (ა) სამხრეთ კავკასიაში წინააზიური და ინდური ჯიშის საქონელი ერთმანეთს შეერია.
- (ბ) კავკასიაში, სავარაუდოდ, შინური ქათამი 3-4 ათასი წლის წინ გავრცელდა.
- (გ) კავკასიაში 9-10 ათასი წლის წინ გავრცელდნენ შინური ცხოველები - ძაღლი, ცხვარი, თხა, ძროხა.
- (დ) ყორდანული კულტურის პერიოდში მოშინაურებული ცხენი კავკასიიდან შავიზღვისპირეთის სტეპებში გავრცელდა.
- (ე) დასავლეთ კავკასიაში ფართოდ გავრცელდა ჩინეთში მოშინაურებული ძროხის სახეობა ზებუ.

**18. ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს მართებულად მიმართებას I და III აბზაცებს შორის?**

- (ა) III აბზაცში კრიტიკულად არის განხილული I აბზაცში წამოჭრილი საკითხი.
- (ბ) I აბზაცში წამოჭრილია საკითხი, რომლის კონკრეტული მაგალითები განხილულია III აბზაცში.
- (გ) I და III აბზაცებში განხილულია ერთმანეთის გამომრიცხავი მეცნიერული მოსაზრებები ერთ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისი მაგალითების მოხმობით.
- (დ) I და III აბზაცებში განხილულია ერთი და იგივე მეცნიერული მოსაზრება, რომელიც დასაბუთებულია შესაბამისი მაგალითებით.
- (ე) I და III აბზაცებში განხილულია სხვადასხვა მეცნიერული თვალსაზრისი ერთ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი მაგალითების მოხმობით.

**19. კავკასიისა და ევროპის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?**

- (ა) ხორბლის კულტურა საბერძნეთიდან და დასავლეთ თურქეთიდან ერთდროულად გავრცელდა კავკასიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში.
- (ბ) ძაღლის ყველა თანამედროვე კავკასიური და ევროპული ჯიში მიტოქონდრიული დნმ-ით წინააზიურ მგელს ენათესავება.
- (გ) ცხენი კავკასიისა და ცენტრალურ ევროპაში შავიზდვისპირეთის სტეპებიდან გავრცელდა.
- (დ) აბრეშუმის ჭია კავკასიისა და გეროპაში ერთდროულად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, გავრცელდა.
- (ე) ცხვარი და თხა პირველად კავკასიისა და ევროპაში მოაშინაურეს.

**20. წინა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია მართებული?**

- (ა) ადამიანმა წინა აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში ცხოველების მოშინაურება ჯერ კიდევ გამჟინვარების პერიოდში დაიწყო.
- (ბ) ცხოველების ზოგიერთი სახეობის მოშინაურება წინა აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში დამოუკიდებლად ხდებოდა.
- (გ) წინა აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებულ ცხოველთა სახეობებს მსგავსი მიტოქონდრიული დნმ აქვთ.
- (დ) წინა აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში ქათამი ერთდროულად გავრცელდა.
- (ე) ცხენის მოშინაურება წინა აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში ერთდროულად ხდებოდა.

**21. რა არის ტექსტის აგზორის მიზანი?**

- (ა) განსაზღვროს შინაურ ცხოველთა და კულტურულ მცენარეთა გავრცელების გეოგრაფიული არეალები.
- (ბ) განიხილოს მოსაზრებები გარეული ცხოველების მოშინაურებისა და მცენარეების კულტივირების თავდაპირველი გეოგრაფიული არეალებისა და პერიოდების შესახებ.
- (გ) აღწეროს ადამიანის სამეურნეო საქმიანობა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ათასწლეულების შესაბამისად.
- (დ) დაადგინოს სხვადასხვა ცხოველთა მოშინაურებისა და მცენარეების კულტივირების პერიოდი.
- (ე) გამოკვეთოს წინა აზიის, კავკასიისა და ჩინეთის როლი ადამიანის სამეურნეო საქმიანობის განვითარებაში.